

რისი დანახვა შემიძლია ღამის ცაზე?

კოსმოსის მასშტაბებს თუ შევადარებთ, არც ისე ბევრი რამის. თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ ჩვენი გალაქტიკის ის მცირე ნაწილი, რომელიც მზესთან ახლოს არის განლაგებული.



დაკვირვება ნებისმიერი წერტილიდან შეიძლება?

დიახ, მაგრამ სწორედ დაკვირვების ადგილზეა დამოკიდებული ის, თუ რის დანახვას შეძლებთ. ამისათვის დიდი ქალაქები შესაფერისი ადგილი არ არის, რადგან ვიზუალურ აღქმას ხელოვნური განათებები აფერხებს. თუმცა კაშკაშა ვარსკვლავებსა (სირიუსი, ბეტელგეიზი) და ახლო პლანეტებზე (ვენერა, მარსი, იუპიტერი, სატურნი) დაკვირვება ნებისმიერი მეგაპოლისიდან შეიძლება. რა თქმა უნდა, ამ ჩამონათვალში შედის მთვარეც.

შეიძლება თუ არა მზეს ვუყურო?

დიახ, მაგრამ ფრთხილად. მზეზე დაკვირვებისთვის საჭიროა მზისგან დამცავი ფირი/ფილტრი, თუკი მზეს დამცავის არმქონე ტელესკოპით დააკვირდებით, შესაძლოა დაზარდვდეთ და ამ დროს ვერც მზის შავი სათვალე გიშველით.

ქალაქგარეთ თუ გავალ?

ეს უკეთესია. თქვენ შეძლებთ ნაცნობი და უცნობი თანავარსკვლავედები განასხვავოთ. იმისათვის, რომ დააკვირდეთ ისეთ შორეულ ობიექტებს, როგორც არის ანდრომედეს გალაქტიკა, რომელიც ორ-ნახევარი მილიონი სინათლის წლით არის ჩვენგან დაშორებული, მაღალ მთებში ან უდაბნოში უნდა წახვიდეთ. ეს იმიტომ, რომ იქ ხელოვნური განათებები საერთოდ არ არის და ციური ობიექტის დანახვას შეუიარაღებელი თვალითაც შეძლებთ.

შემიძლია თუ არა მაქსიმალურად გავზარდო ტელესკოპის ზუმი?

დიახ შესაძლებელია შესაბამისი ლინზებით და დამხმარე ბარლოუთი, თუმცა აქვე ისიც უნდა გვახსოვდეს რომ მაქსიმალური გადიდება ყოველთვის კარგი არ არის, რადგან როდესაც გადავაჭარბებთ კონკრეტული მოდელის მაქსიმალურ რესურს ამ შემთხვევაში მივიღებ გადიდებულ ობიექტს თუმცა ოკულარში გამოჩნდება ბუნდოვნად. ამიტომ ყოველთვის ფრთხილად უნდა ვიყოთ დამატებითი ლინზის ანდაც ბაროლუს შეძენისას